

---

## სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

### ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ საქმის თაობაზე

უკანასკნელ პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (სტრასბურგი) ხშირად ხვდება საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში. პრესისა თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით ხშირად ვრცელდება ინფორმაცია, რომ პირმა ან ორგანიზაციამ უკვე მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ან უახლოეს პერიოდში აპირებს მიმართოს მას თავისი უფლებების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმართ არსებული მზარდი ინტერესის მიუხედავად, ჯერჯერობით ცოტამ თუ იცის საქართველოში ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, რათა მიემართოს ევროპულ სასამართლოს და ის უფლებები, რომლებიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. მართალია, ამ თვალსაზრისით მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება, რასაც ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პოპულარიზაცია საქართველოში, მაგრამ მაინც აშკარაა უფრო ეფექტიანი ღონისძიებების გატარების საჭიროება.

საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი იურიდიული პროფესიების წარმომადგენელთათვის, უკეთესად რომ გახდეს ცნობილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმიანობა, აუცილებელია მოხდეს საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების პოპულარიზაცია. ამიტომაც „ჯეპლაკმა“ გადანყვიტა, ხელი შეუწყო ამ პროცესს, რისთვისაც ამკვიდრებს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნების პრაქტიკას.

გადანყვიტება, რომელიც „ქართული სამართლის მიმოხილვის“ ამ ნომერში ქვეყნდება, პირველია საქართველოს ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში უკვე რამდენიმე ათეული განაცხადია შეტანილი, გადანყვიტება საქმეზე – „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“ – პირველი საბოლოო გადაწყვეტილებაა. ეს საქმე მხოლოდ ამ ფაქტის გამო არ არის მნიშვნელოვანი. იგი ასევე ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რადგან პირველად სტრასბურგის სასამართლოს საქმიანობის ისტორიაში, მან მოითხოვა, რომ, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მოპასუხე სახელმწიფომ უზრუნველყოს პატიმრობაში მყოფი პირის დაუყოვნებლივ გათავისუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ ფართო საზოგადოებისათვის ეს საქმე კარგად არის ცნობილი, მაინც აუცილებელია ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნება, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის უფლებათა კულტურის განვითარებასა და განმტკიცებას.

კონსტანტინე კორკელია